№ 18 1883 – 1904 30 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება

უმაღლესი მანიფესტი.

(დასასრული*).

8) იმ თანამდებობის კაცს, რომელსაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ამა მე-XV მუხლის მე-6 და მე-7 პუნკტებში არ აღნიშნული დანაშაულობანი ჩაუდენია და ამისთვის გადაწყვეტილი ჰქონია სამსახურიდან გამორიცხვა ან ამ დანაშაულისათვის ეს სასჯელი მოუხდია კიდეც, აგრეთვე იმას, რომელიც თანამდებობიდან გადაუყენებიათ და აუღკრძალავთ სამსახურში ხელახლა შესვლა, ან თანამდებობის მიღება, —ასეთ დასჯილს განაჩენის ძალაში შესვლიდან ათის წლის შემდეგ უფლება მიეცეს ხელ-ახლა შევიდეს სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში, ან დაიჭიროს წინანდელი თანამდებობა. 9. განთავისუფლებულ იქნას პასუხის გებისა და სასჯელისაგან ის, ვისაც დანაშაულობა ჩაუდენია (ისეთი, რომელიც ვოლოსტის სასამართლომ უნდა გაარჩიოს), მაგრამ ვინც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე პასუხში არ მიუციათ, ან ვის წინაალმდეგაც განაჩენი არ გამოუცხადებიათ, ან განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ; განთავისუფლებულ იქნას სასჯელისაგან აგრეთვე ისიც, ვინც ამ ჟამად იხდის ვოლოსტის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სასჯელს. 10. ეპატიოს ფულის გადახდა იმას, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე სასამართლომ გადაუწყვიტა არა უმეტეს ოც-და-ათ თუმნიან ჯარიმის გადახდა ხაზინისა, საუფლისწულო უწყებისა, სამეფო სახლის კარის უწყებისა და კაბინეტისა, ან სატუსაღოების ასაშენებელ თანხის სასარგებლოდ; ეპატიოს იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა, მაგრამ გადაწყვეტილება-კი სისრულეში არ იქნა მოყვანილი; ყველა სხვა-კი, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ოცდა-ათ თუმანზე მეტ ჯარიმის გადახდა გადაწყვიტა, ეპატიოს და აღარ გამოერთოს ამ ჯარიმიდან ოცდა-ათი თუმანი. 11. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ჩადენილ ისეთ დანაშაულობისთვის, რომლის გამოც დამნაშავეს ფული უნდა გადახდეს სასარგებლოდ ხაზინისა, საუფლისწულო უწყებისა, სამეფო კარის უწყებისა, ჩვენის კაბინეტისა და აგრეთვე შემდეგ თანხებისა: ა) სატუსაღოების ასაშენებელისა, ბ) საზღვაო და გ) ისეთ თანხების სასარგებლოდ, რომლებიც უნდა შესდგეს თანახმად სამთო წესდების მე-736 მუხლისა (კანონთა კრებული ტომი მე-VII, 1902 წლ. გაგრძ.) და სატყეო წესდების მე-861 მუხლისა (კან. კრ. VIII ტომი, ნაწილი 1. გამოცემული 1893 წ.),—თუ ვინაცობაა, დამნაშავეს არ შეუძლიან ხსენებულ ფულის გადახდა. იგი (დამნაშავე) არ უნდა იქნას პირადად შეპყრობილი და საზოგადო სამუშაოს მოსახდელად, ან ფულის მოსაგებად არ უნდა იყოს გაგზავნილი; ის-კი, ვინც ამ ჟამად, ფულად გასტუმრების ნაცვლად, უკვე იხდის ხსენებულ სასჯელს, განთავისუფლებულ იქნას პირად შეპყრობისა და მუშაობისაგან. 12) ამა მე-XIX მუხლის პირველ, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე პუნქტებში ჩამოთვლილი წყალობანი არ ეხებათ, იმათ, ვისაც ჩაუდენიათ ქურდობა, «მაშენიკობა», მითვისება და გაფლანგვა ჩაბარებულ

*) იხ. „მწყემსი“ № 17, 1904 წ.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონებისა, მეკახშეობა, მექრთამეობა; ვინც გაუფრთხილებლობით ვაჭრობის დროს გაკოტრებულა; ვისაც დანაშაულობა ჩაუდენია პატიოსნების წინააღმდეგ და კერძო ბრალდებით სამართალში მიცემული; ვისაც საპყრობილეში ჩასმა აქვს გადაწყვეტილი სამსახურიდან გამორიცხვისა, ან ისეთ სასჯელის მაგიერ, რომელსაც ახლავს უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა; აგრეთვე იმას, ვისაც ჩაუდენია ისეთი დანაშაულობანი (ტყის დაცვის წესების დარღვევის გარდა), რომელთა გამოც დამნაშავეს ჯარიმა უნდა გადახდეს არა ხაზინისა, საუფლისწულო უწყებისა, სამეფო კარის უწყებისა და ჩვენის კაბინეტის სასარგებლოდ და არც შემდეგ თანხების სასარგებლოდ: ა) რომელიც სდგება საპყრობილეების გასამართავად და ბ) რომელიც სდგება სამთო წესდების მე-736 მუხლის თანახმად (კანონთა კრებული ტომი მე-VII, 1902 წლის გაგრძ.); ხოლო იმას, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ამა მე-12 პუნკტში აღნიშნული დანაშაულობანი ჩაუდენია, აგრეთვე იმას, ვისაც სასჯელი მიესაჯა და იხდის კიდეც ამ სასჯელს,—სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირდეს. 13. ერთის მესამედით შეუმცირდეს სასჯელი იმ დამნაშავეთ, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტს პატიმართა განყოფილებაში, ციხეში ან საპატიმროში დამწყვდევას, განსაკუთრებულ ან ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით; აგრეთვე ვისაც გადაუწყვეტს გამასწორებელ სახლში დამწყვდევას უფლებათა ჩამორთმევით და ჩამოურთმევლად, ან საპატიმროში დამწყვდევას უფლების ჩამორთმევით, 1903 წლის, 22 მარტის უმაღლესად დამტკიცებულის სისხლის სამართლის დებულების ძალით; აგრეთვე ყველა იმათ, ვისაც მემკვიდრის დაბადების დღემდე მიესაჯა ამ პუნკტში ჩამოთვლილი სასჯელები, ან ვინც უკვე იხდის სასჯელს. 14. ამ მანიფესტის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლება არ ანთავისუფლებს დამნაშავეს ამავე დროს მოვალეობისაგან ზღოს დანაშაულობით გადაწყვეტილი ნივთიერი ზარალი, არ ანთავისუფლებს პატენტის ღირებულობის, სავაჭრო ან სამრეწველო მოწმობის, სააქციზო, ან სხვაგვარ ხარჯის გადახდისაგან, თუ ამგვარი გადასახადები პატიებულ არ არის ამავე მანიფესტის ზემოხსენებულ პუნკტების ძალით; არ ანთავისუფლებს აგრედვე, კანონის მოთხოვნილებისამებრ, ნივთების ჩამორთმევისაგან, ან მათის ფასის ზღვისაგან. საქმეები სატყეო წესდების დარღვევის შესახებ, სახაზინო ტ. კერძო ტყეებშიაც, აგრედვე სახაზინო და კერძო პირთა სადავო ტყეებშიაც, წესისამებრ იქნან გათავებულნი, რათა შეიძლებოდეს იმ საზღაურის რაოდენობის გამორკვევა, რომელიც კერძო პირთ ან წოდებათ ეკუთვნის. 15. იმ პირთ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე განთავისუფლებულ იქნენ საპატიმროდან და პოლიციის განსაკუთრებულ ზედამხედველობის ქვეშ იქნენ მიცემულნი, შეუმცირდეს ერთის მესამედით ზედამხედველობის ვადა, აღნიშნულ სასჯელთა დებულების (კანონ. კრებ. ტ. XV 1885 წ. გამოც.) 48 და 45 პუნკტებში, ან სასჯელთა დებულების 58, მუხლში (კან. კრებ. ტ. XV, 1902 წ.). 16. ციმბირში, ან ციმბირის გარდა სხვა შორეულ გუბერნიებში საცხოვრებლად გაგზავნილ პირთ მიენიჭოს (შორეულ გუბერნიებში გაგზავნილებს—7 წლის შემდეგ, ხოლო ციმბირში—8 წლის შემდეგ მათის იქ ყოფნისა) უფლება თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი ევროპისა და აზიის რუსეთში, გარდა სატახტო ქალაქებისა და სატახტო ქალაქების გუბერნიებისა, სადაც მათთვის აკრძალულია ცხოვრება 3 წლის განმავლობაში. აქ მოხსენებულ პირთ ჩამორთმეული უფლებანი არ უბრუნდებათ. ვისაც ციმბირში, ან შორეულ გუბერნიებში, გაგზავნის გარდა, მიესაჯათ აგრედვე დაპატიმრება, ან ამის მაგიერ დანიშნულ ადგილას განუშორებელად ცხოვრება, შეუმცირდეთ ერთის მესამედით ვადა დაპატიმრებისა ან განუშორებელ ცხოვრებისა. 17. იმ დამნაშავეთ, რომელთაც დანაშაულობა ჩაიდენეს მემკვიდრის დაბადების დღემდე და ამისთვის გადასახლება უნდა მიესაჯოთ და აგრედვე ვისაც უკვე მიესაჯა ან უკვე იხდის ამ სასჯელს, შეუმცირდეთ ის ვადა, რომელიც გლეხობაში ჩარიცხვისათვისაა დანიშნული: თუ ვადა 10 წლისაა, შემცირდეს 4 წლამდე, თუ 15 წლისა – 6 წლამდე; თუ გადასახლებულმა 9 წელიწადი დაჰყო ამ მდგომარეობაში, მიეცეს მას ნება აირჩიოს საცხოვრებლად ადგილი, მხოლოდ 5 წლის ვადით აეკრძალოს სატახტო ქალაქებსა და სატახტო ქალაქების გუბერნიებში ცხოვრება და ამასთანავე არჩეულ ადგილას 5 წლის ვადით ადგილობრივ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდეს. ასეთივე შეღავათი მიენიჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაო, ვინც დღემდე კატორგაში ყოფნის ვადა დასრულა და ჩარიცხულია გადასახლებულთა სიაში. ეს შეღავათები არ ეხება იმ პირთ, ვინც ჩაიდინა სასჯელთა დებულების 197 და 200—204 მუხლებში აღნიშნული დანაშაულობანი (კანონ. კრებ. ტომი მე-XV, 1885 წლ. გამოც.). 18. იმ დამნაშავეთა, რომელთაც სასამართლომ მიუსაჯა ქარხნეში ან კატორგაში მუშაობა განსაზღვრულის ვადით, ეს ვადა ნახევრად შეუმცირდეს, ხოლო ვისაც სამუდამო კატორგა მიესაჯა, ეს სასჯელი შეეცვალოს 14 წლის კატორგით. ეს წყალობა იმ პირთაც შეეხება, რომელთაც სასამართლო ხსენებულ სასჯელს დაუნიშნავს მემკვიდრის დაბადების დღემდე ჩადენილ დანაშაულობისათვის. 19. ამ მანიფესტის მე-XIX ეუხლის მე-16, 17 და 18 პუნკტებში აღნიშნული წყალობა შეეხება იმ პირთაც, რომელთაც, თანახმად უმაღლესის განკარგულების ბრძანებისა, მიესაჯათ ამ პუნკტებში აღნიშნული სასჯელები, სხვა უფრო მკაცრ სასჯელების მაგიერ. 20. კატორგისაგან განთავისუფლებულ იქმნან ის არა სრულ წლოვანნი დამნაშავენი, რომელთაც მემკვიდრის დაბადებამდე ჩაიდინეს დანაშაულობა, რისთვისაც უკვე გაასამართლეს ან ეხლა გაასამართლებენ, კატორგისაგან განთავისუფლების შემდეგ ეს დამნაშავენი უნდა ჩარიცხონ გადასახლებულთა რიცხვში და იმათ უნდა მიენიჭოს მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-17 პუნკტში აღნიშნული წყალბა. ამ მეოცე პუნკტში მოხსენებული წყალობა შეეხება იმ არა სრულწლოვან დამნაშავეთ, რომელთაც მიესაჯათ 4 წელზე ნაკლები კატორგა. 21. განთავისუფლებულ იქნან როზგით დასჯისაგან ის ციმბირში გადასახლებულნი და კატორგაში გაგზავნილნი, რომელიც გადასახლებულთა შესახებ დებულების ძალით მემკვიდრის დაბადების დღემდე ჩადენილ დანაშაულობისათვის როზგით უნდა ყოფილიყვნენ დასჯილნი (თანახმად გადასახა. შესახ. წესდ-მუხლი 462). 22. ციმბირში გადასახლებულნი და კატორგაში გაგზავნილნი, რომელნიც მათთვის დანიშნულ ადგილიდან გაიქცნენ ისე კი, რომ გაქცევის დროს და გაქცევის შემდეგ ახალი დანაშაულობა არ ჩაუდენიათ, თუ მემკვიდრის დაბადების დღიდან 1 წლის განმავლობაში თავის ნებით მთავრობას გამოეცხადებიან, გაქცევისათვის დასჯილნი ნულარ იქნებიან. 23. იმ პირთ, რომელნიც უკვე წინანდელის უმაღლესის მანიფესტებით მიენიჭათ ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-16, 17 და 18 პუნკტებში აღნიშნული შეღავათი, ახლა შეუმცირდეს 1-ს წლით გადასახლებისა და კატორგის ვადა. 24. ამ მანიფესტით ნაბოძებ წყალობებით არ არის შეზღუდული ციმბირში გადასახლებულთა, საცხოვრებლად გაგზავნილთა, კატორგაში გაგზავნილთა და დაპატიმრებულთა უფლებანი, რომელნიც მიენიჭათ 1894 წ. 7 მაისის და 1895 წ. 9 მაისის უმაღლესად დამტკიცებულის წესებით. ამ წესებით ხსენებულ პირთ მიენიჭათ სხვა-და-სხვა შეღავათი ციმბირის რკინის გზის აშენებაშა მონაწილეობისათვის. ხსენებულის წყალობით აგრედვე არ არის შეზღუდული კუნძულ სახალინზე გაგზავნილთა შეღავათები, რომელიც იმათ მიენიჭა 1904 წ. 4 მარტის კანონით ადგილობრივ თავისუფალ დრუჟინაში ჩარიცხვისათვის. 25. ყველა იმ დანაშაულობათა და ბოროტ მოქმედებათა გამო, რომელთა შესახებ სისხლის სამართლის საქმეები ამ მანიფესტის ძალით არ ისპობა, და რომელნიც ჩაუდენიათ მემკვიდრის დაბადების დღემდე, საქმის მოსპობის ვადა 1 მესამედით შემცირდეს, თუ ეს ვადა წინქნდელ უმაღლესის მანიფესტით არ იქმნა შემცირებული; 26. ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-16, 17, 18, 19, 20 და 23 პუნკტებში აღნიშნულ შეღავათების განხორციელება მიენდოს ჩვენს ნამესტნიკს შორეულ აღმოსავლეთში, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორებს და ადგილობრივ გუბერნატორს, რომელნიც წინ-და-წინ უნდა დარწმუნდნენ, რომ დამნაშავენი კარგის ყოფა-ქცევისა არიან.

XX. ნებას ვაძლევთ შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუბრუნოს ვოლოსტის სასამართლოს მიერ როზგით დასჯილ გლეხთ ის უფლება, რომელსაც ამგვარად დასჯილები ჰკარგავენ თანახმად კანონთა კრებ. მე-IX ტომის მე-182 მუხლისა, ესე იგი, უფლებას საგლეხო დაწესებულებაში სამსახურისას.

XXI. იმ პირთ, რომელთაც დანაშაულობისათვის ადმინისტრაციის მიერ მიესაჯათ ჯარიმის გადახდა, ეპატიოთ ჯარიმა იმ წესითა და იმ რიგით, რომელიც აღნიშნულია ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის 1, 10 და 11 პუნკტებში.

XXII. განთავისუფლებულ იქნან ხაზინი ფულის გადასახადისაგან დამნაშავეთა და აგრედვე შეუძლებლობის გამო პასუხის გებაში მიცემულთა მემკვიდრენი, თუ დანაშაულობის ჩადენიდან მემკვიდრის დაბადების დღემდე 10 წელიწადი გავიდა.

XXIII. სახელმწიფო, სატყეო და სამთო უწყებათა, ხელმწიფისა, სამეფოს კარისა და საუფლისწულო, ლოვიჩის სამთავროსა, ჩვენის კაბინეტის ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების ტყეების დამცველ რაზმის მოხელეთა და მსახურთ, აგრეთვე გლეხთ, ეპატიოთ ჯარიმა, რომელიც მათ დაეკისრა ტყის ურიგოდ მოვლისა და აჩეხისათვის, აგრეთვე ტყის დაცვას სხვა წესების დარღვევისათვის, რაც ჩადენილ იქმნა მემკვიდრის დაბადებამდე. ეს წყალობა არ ეხება იმ მოხელეთა და მსახურთ, ვინც ანგარების მიმეზით დაარღვევინა სხვას ან თვითონ დაარღვია სატყეო წესი და კანონები.

XXIV. განთავისუფლებულ იქნან სასამართლოსა და სასჯელისაგან ისინი, ვისაც მემკვიდრის დაბადებამდე დაბრალდა ჩვენის კაბინეტის მამულებში ქვანახშირისა, ქვისა, თიხისა და სხვ. ამგვარის ნება დაურთველად გატანა.

XXV. განთავისუფლებულ იქმნან სასჯელისა, აგრედვე გამოძიებისა ჯ სასამართლოში მიცემისაგან ისინი, ვინც სამხედრო ბეგრის მოხდა აიცდინა თავიდან, თუ ასეთი დამნაშავენი მემკვიდრის დაბადებამდე გამოცხადდენ მთავრობასთან ან მემკვიდრის დაბადების დღიდან ერთის წლის განმავლობაში გამოცხადდებიან.

XXVI. საზღვარ-გარედ მცხოვრებ რუსის ქვეშევრდომნი, რომელნიც სასჯელთა დებულების მე-325 და მე-326 მუხლების ძალით არიან პასუხის გებაში მიცემულნი (კანონთა კრებული ტომი XV, 1885 წ.), განთავისუფლებულ იქმნან ამ მუხლებში აღნიშნულ სასჯელისაგან; მხოლოდ რუსეთში დაბრუნების შემდეგ ორის წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ.

XXVII. კავკასიის, თურქესტანის და ომსკის საგენერალ-გუბერნატოროს მკვიდრთ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე, ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით, სხვა-და-სხვა დანაშაულობისა და ცუდ-ყოფაქცევის გამო, ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილ იქნენ ევროპისა და აზიის რუსეთის გუბერნიებში და რომელთაც წინანდელი მანიფესტები არ შეეხო,—ყველა ამ მკვიდრთ, თუ ეხლა კარგის ყოფაქცევის არიან, შემდეგი შეღავათი მიენიჭოს: ვინც უვადოთ იქნა გაგზავნილი, 12 წლის შემდეგ განთავისუფლებულ იქნას პოლიციის ზედამხედველობიდან და მიეცეს უფლება, აირჩიოს საცხოვრებლად ადგილი ყველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა, სატახტო ქალაქების გუბერნიებისა და აგრეთვე იმ მხრისა (კავკასიისა, თურქესტანი, ომსკის საგენერალ-გუბერნატორო), რომლიდანაც იგი გადასახლებულ იქმნა. ვინც 5 წელიწადზე მეტ ვადით იქმნა გაგზავნილი, იმას აღნიშნული შეღავათი მიენიჭოს 5 წლის შემდეგ, ხოლო ვინც 5 წელზე ნაკლებ ვადით არის გაგზავნილი, იმას სანახევროდ შეუმცირდეს გადასახლების ვადა. თუ განთავისუფლებულმა პირმა თავის სამშობლოში ცხოვრება მოინდომა, ამისთვის ნებ-რთვა უნდა აიღოს უმაღლესს ადგილობრივ მთავრობისაგან. იმ გაგზავნილთ, რომელთაც ვადა წინანდელმა მანიფესტმა შეუმცირეს, ეხლა კიდევ შეუმცირდეთ ვადა 1-ს წლით.

XXVIII. 1. ცუდ ყოფა-ქცევისათვის სასოფლო ყრილობის დადგენილებით ადმინისტიულის წესით გაგზავნილთ, თუ ამჟამად კარგი ყოფ-ქცევის არიან, ნება ეძლევათ (მე-23 მუხლი, მე-205 მუხლის დამატებისა, ტომი XIV, 1902 წლის გაგრძელება) გადავიდნენ და ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიებსა და სოფლის საზოგადოებებში; შეუძლიანთ იმავ საზოგადოებაშიაც ჩაირიცხნენ, რომლებიდან გაძევებულ იქმნენ, მაგრამ ამისათვის საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობა. 2. ადმინისტრატიულის წესით მოქალაქეთა საზოგადოებების დადგენილებათა თანახმად ციმბირში გაგზავნილთ, აგრეთვე იმათ, ვინც სასჯელის მოხდის შემდეგ თავის სასოფლო და სამოქალაქო საზოგადოებაში აღარ იქმნენ მიღებულნი, ნება ეძლევათ ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიასა და საზოგადოებაში, თუ ამჟამად კარგი ყოფა-ქცევისა არიან, გარდა ამისა, თუ ხსენებულმა გლეხებმა მოისურვეს ისევ თავის საზოგადოებაში ჩარიცხვა, ამისათვის ნებართვა უნდა აიღონ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.

(დასასრული იქნება).

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ.11—28.

№ 18 | 1883—1904 | 30 სექტემბერი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

კრებული მოძღვრებათა ქართულს ენაზე.

ნაწილი მეორე,

გამოცემული «საქართველოს საეკლესიოს სასულიერო მოამბის» რედაქციის მიერ. 1904 წ. ფასი 1 მანეთი.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს ეხლანდელ ღარიბს და დაკნინებულ საეკლესიო მწერლობას, უეჭველია შენიშნავდა, რომ ამ ბოლო წლებში თვალსაჩინოდ იმატა მოძღვრებათა და ქადაგებათა კრებულების ბეჭდვამ. ოთხი წლის განმავლობაში დაიბეჭდა სამი კრებული, რომელთაგან ერთი გამოსცა თბილისის სამღვდელოებამ და ორი კი „საქართველოს სასულიერო მოამბის“ რედაქციამ. რა თქმა უნდა, გასახარელი და სასიამოვნოა ამისთანა მოვლენა. ალბად, კრებულები გამოიწვია დროთა მოთხოვნილებამ; იბეჭდება მოძღვრებათა კრებული კრებულზე, მაშასადამე უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამღვდელოებას შეუგვნია თვისი უმაღლესი ვალდებულება სამწყოსადმი, უცვნია, რომ მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს დამწყსვა ცოცხალი სიტყვით მრევლისა, რომელიც აღარ კმარობს მარტო წირვისა, ცისკარ-ლოცვისა, ჯვრისწერისა, მონათვლისა, ანდერძის აგებისა და სხვა საღმრთო მოქმედებათა შესრულებას. ან კი როგორ-და იკმაროს, მართლადა დღეს ხალხმა მარტო ეკკლესიური წიგნების სხაპასხუპით კითხვა მეღავთნესაგან, როდესაც ძირიანფესვიანად შეიცვალა მისი ცხოვრების პირობები, როდესაც ხალხმა შეისწავლა წერა-კითხვა და ბევრს გაუგებარს, ბევრს გამოსაკვლევ-გამოსაძიებელს, ხშირად ეჭვისა და რყევის აღმძვრელ რამეებს კითხულობს დროებით გამოტემათა ჯ წიგნებში, როდესაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ცხოვრება უყენებს მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ ისეთ ახალ და უცნობ მოვლენათა, რომ ვერ შეუგვნია იგინი ზნეობრივ, ვერ დაუფასებია სარწმუნოების მხრივ და ამისგამო ირყევა, იტანჯება, ცდილობს და ვერ გადაუწყვეტია, რა გზას დაადგეს —შეურიგდეს მათ, თუ წინააღუდგეს? ცხადია, ამ გვარ მდგომარეობაში მყოფისათვის მოძღვრის წრფელი და გონიერი სიტვა-დარიგება ციდამ მოვლენილი ნუგეშია, ნამდვილი გამოხსნაა გაჭირვებიდან და ასეთ მარჯვე დახმარებას ხომ არ შეეღრებ-რა!

მაგრამ მიუახლოვდეთ საგანს, გავიხილოთ და გავიცნოთ შინაარსი კრებულისა, რომლის სათაურიც ამოვწერეთ ზემოთ. აგერ, გადავშალე კრებული; იგი იწყობა ოქტომბრის პირველი რიცხვით და, ჩემდა გასაჯარელად, პირველი მოძღვრება ეკუთვნის კარგად ცნობილს და განათლებულს მღვდელს დიმიტრი ჯანაშვილს. მისივეა მეორე და მესამე მოძღვრებანიც და კრებულის ორას მეექვსე გვერდზე მოთავსებული სიტყვა დიმიტრი მაჩხანელის დასაფლავებაზე.

პირველად მოძღვრების სათაურად ჭ საფუძვლად მამა ჯანაშვილს აუღია ლუკას სახარებიდან ის უკვდავი და ყოველი გაგებული ქრისტიანისათვის ხელის ხელ საგოგმანებელი სიტყვები, რომლებმაც საამურად იფეთქეს ვინმე დედაკაცის გულის სიღრმიდან, მოისმინა რა მან ერთ შემთხვევაში მაცხოვრის ღვთაებრივი და დამატკბობელი მოძღვრება — „ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთა ჰსწოვდი“ (ლუკა 11 27) უყურებ მოძღვრების სათაურში მოყვანილ სიტყვებს და ოცნება გიტაცებს, ფიქრობ, აჰა, მადლიანი მოძღვარი გაუნათებს, ხელის გულივით გადაუშლის და მიახვედრებს ყველას აღებული სიტყვების მნიშვნელობას, ცხოველად, ნათლად, მკაფიოდ და სიტყვა მორჩმულად დაუსურათებს საღმრთო ამბიონიდან დამსწრე დედებს მაღალსა და წმიდა მოვალეობას შვილების აღზრდის საქმეში, დაუმტკიცებს და დაარწმუნებს ყველას, რა მადლი და ღვთის კურთხევა შეაქვს დედას ოჯახსა და ერში, როდესაც იგი საკუთარი ძუძუთი ასაზრდოებს თავის ნაშობს, როდესაც თავის ღვიძლებზე ნადებ შვილს არ იშორებს წკლავიდან და მისი აკვანის რწობა ყოველ ლხინზე უტკბილესად მიანნია, რა სანატრელი და ბედნიერია ის ერი, რომლის შვილების ცხოვრება, საქციელნი და სიტყვები სადიდებელ და სანატრელ ჰყოფენ მათ მშობელ დედათა მუცლებსა და ძუძუთა და სხ. და სხ. მაგრამ, ვაგლახ, რომ ეს მხოლოდ ოცნებაა!

მამა ჯანაშვილს შემთხვევით წაუწერია თავისი მოძღვრებისთვის მოყვანილი სიტყვები, მას ფიქრადაც არა ჰქონია სრულებით მათი აღსნა და რამენაირი განმარტება, მას სახელმძღვანელოდ არა ჰქონია მიმჩნეული ის გომილეტიკური მოთხოვნილება, რომ მქადაგებელი ვალდებულია თავისი მოძღვრება ააშენოს, გააწყოს ჭ დააფუძნოს უეჭველად საღმრთო წერილის იმ სიტყვებზე, რომლებიც აუღია მას მოძღვრების დასაწყისად. გომილეტიკის, ე. ი. სამოქადაგო მოძღვრების მოთხოვნილებით მოძღვრების დასაწყისად აღებული სიტყვები საღმრთო წერილიდან თემა ქადაგებისა და ამ სიტყვებზე უნდა აებას ქადაგება, როგორც კრიალოსანი ზონარზე, ამ სიტყვებზე უნდა ჩამოესხას მოძღვრება, როგორც სანთელი პატრუქზე. ასეთი მაგალითები დაგვიტევეს დიდმა ჭ მსოფლიო მქადაგებლებმა—ბასილი დიდმა, გრიგორი ღვთისმეტყველმა და იოანე ოქროპირმა. ამ კვალს მისდევენ რუსეთის სახელოვანნი მქადაგებელნი მიტროპოლიტი ფილარეტი, მთავარეპისკოპოსნი ინნოკენტი, ნიკანორი, დიმიტრი, ამბროსი და მრავალნი სხვანი. ნაჩვენები მოთხოვნილება გომილეტიკისა სკოდნიათ და სახელმძღვანელოთაც ჰქონიათ მიღებული ჩვენი სამშობლო ეკკლესიის საუკეთესო მქადაგებლებს ამბროსი ნეკრესელს, ანტონ ჭყონდიდელს და გაბრიელ ეპისკოპოს. მქადაგებელი, არ მიმდევარი ამ გზისა, მიდრეკილია უსისტემო, აბნეული და დაულაგებელი მსჯელობისადმი. ამის გამო არ შეიძლება სქელი ხაზი არ გავაკლოთ აღნიშნულ ნაკლულოვანებას, რომელიც ბეჭდათ ასვია მ. ჯანაშვილის მოძღვრებათა.

აი როგორ აღნიშნავს პატივცემული აქვსონი თავისი პირველი მოძღვრების თემას: „ვინ მოიტანა საქართველოში ქრისტეს პერანგი ანუ კვართი, რა გარემოებანი დაერთო მისგან მირონის დენას, ამ ღირს შესანიშნავ ამბავზე მსურს, მორწმუნენო ქრისტიანენო, გავაბა თქვენთან საუბარი“. ჯერ ერთი ეს „გავაბა თქვენთან საუბარი“ რუსულიდანაა ყურით გადმოთრეული—хочу повести съ вами бесѣду» და მეორეც რომელმა ქართველმა არ იცის რა გარკვეული, გადაჭრითი და განსაზღვრული, სრულებით სათაკილო და არა სასურველი თვისების აღსანიშნათაც ხმარობს ხალხი სიტყვებს „გაბა სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარიო?". ვინ არ იცის, რომ ეს ფრაზა იხმარება გძელი, დაუსრულებელი, მოსაბეზრებელი და უთავ-ბოლო ლაპარაკის აღსანიშნავად. ჯანაშვილმა და საზოგადოთ ეკლესიურმა მქადაგებელმა უნდა იცოდეს, რომ ამისთანა ლექსებს არ მოუწონებენ მას მსმენელები, ვიტყვი ამაზე მეტს—საგნისა და ალაგის შეუფერებელი სიტყვების ხმარებით, ხელსა ჰკრავს მქადაგებელი მსმენელებს და ძალათ აკარგვინებს მათ ქადაგების მოსმენისა ტ ბოლომდე ყურის-გდების ხალის. ხალხს სერიოზული შეხედულობ აქვს ეკკლესიაზე და სარწმუნოებაზე, ის შიშით და კრძალულებით წარმოსთქვამს ღვთის სახელს ტ უყვარს, როდესაც მოძღვარი ასწავლის და არიგებს მას დამჯდარი, დარბაისლური და სასოებიანი ენით. ვულგარიზმები სარწმუნოებრივ მსჯელობაში სძაგს ხალხსა და ამ შემთხვევაში ხალხის გემოვნება გამოხატავს სრულს ჭეშმარიტებას. ეკკლესიურ ქადაგებას საგნად აქვს კაცის ზნეობის გაფაქიზება კაცის გულის განსპეტაკება, ლმობიერებისა, სიწმინდისა და სათნოების ანკარა ნაკადულით მონათვლა და განბანა კაცის აზროვნებისა, სურვილისა ტ მოქმედებისა. ამ საწადელი ბოლოს მისაღწევად მქადაგებლობის მოძღვრება ვალად უდგვენს მქადაგებელს გამტკიცებული, გემოიანი, ფხიზელი და ზეციერი მადლით პკურებული ენის ხმარებას. გადაიკითხეთ ძველი და ახალი დროის გამოჩენილ მქადაგებელთა ნაწერები და ადვილად დარწმუნდებით ნათქვამის საბუთიანობაში. ყოველი სიტყვა ნამდვილი მქადაგებლისა სუფთაა, როგორც ბროლი, მადლიანი მქადაგებლის თვითეული ფრაზიდან გადმოსჩქეფს ეგრედ წოდებული «ღვთისსიერება» (помазанность) და ესაა მიზეზი, რომ მოძღვრება იპყრობს თქვენს გულსა და გონებას, გწყურიათ შეითვისოთ, არა მარტო აზრი, არამედ თვითეული მისი სიტყვა, გაიზეპიროთ ყოველი მისი წინადადება.

სამწუხაროდ, ამ ღირსებასაც საგრძნობელად მოკლებულია ჯანაშვრილის მოძღვრება. მოთხრობა საუფლო კვართის მოტანის შესახებ საქართველოში, სიდონიას მოულოდნელად გადაცვლისა, მის საფლავზე საოცარი ნაძვის ხის ამოსვლისა, საკვირველთმოქმედი სვეტის აღმართვისა და მისგან მირონის აღმოცენების შესახებ გადმოცემულია მეტის-მეტად მშრალი, უხეირო სახელმძღვანელოს ენით და ალაგ ალაგ ფელეტონური კილოთი. აქ ნასახიც არაა იმისი, რასაც ქადაგებაში ღვთისსიერობას უწოდებენ. მაგრამ სჯობს მოუსმინოთ თვით მქადაგებელს. „სახარება მოკვითხრობსო, ბრძანებს მქადაგებელი, რომ იესო ქრისტეს ტანისამოსი გახადეს და ისე აცვეს ჯვარსა. მის სიკვდილის შემდეგ მის ჯვარმცმელებმა გაიყვეს მისი ტანისამოსი. დარჩა გაუყოფელი მხოლოდ ქრისტეს პერანგი. ის იყო მოქსოვილი მღვთისმშობლისაგნს, და არა შეკერილი. მისი გაჭრა არ შეიძლებოდა, რადგანაც ძვირფასი საუნჯე იყო. გადასწყვიტეს ტ წილი იყარეს: ვისაც ერგოს, იმან წაიღოსო. მათში ერია ერთი მცხეთელი ურიაცა, სახელად ელიოზი. პერანგი იმას ერგო. მან მოიტანა მცხეთას. მომავალ მამას მიეგება წინ სიდონია. მან იცოდა ქრისტეს მოკვლის ამბავი და როცა იხილა ძვირფასი პერანგი ქრისტესი, გამოართო, მიიკრა გულზე და ტყისვე განუტევა სული. ეს ამბავი შეიტყვეს მცხეთელებმა და გაუკვირდათ. შეიტყო საქართველოს მაშინდელმა მეფემ ადერკმაც, მივიდა და ნახა, მოეწონა პერანგი ქსოვილი და მოიწადინა მისი შეძენა, მაგრამ მკვდარს სიდონიას ვერას ღონისძიებით ვერ აიცალეს გულიდან, და ძმამ ელიოზმა დაასაფლავა ქრისტეს პერანგითვე"... ასეთია მთელი მოძღვრების ენა და კილო.

თვითვეულ მოძღვრებას აუცილებლივ აქვს დაბოლოებანი ნაწილი, რომელიც აზრს აძლევს და აგვირგვინებს მთელს მოძღვრებას. ამ ნაწილში მქადაგებელმა უნდა გარკვევით დაანახვოს ყველას ის საგანი, რომლის მისაღწევადაც წარმოითქვა მოძღვრება, აქ, თუ შეიძლება ასე თქმა, მქადაგებელმა უნდა მსმენელებს თვალწინ დაუგროვოს აზრთა და დასკვნათა ის ბარაქიანი ხვავი, რომელიც უნდა შეიქმნეს მათ შორის ღვთის შიშისა და მტკიცე სიყვარულის აღორძინების, ერთმანეთის გულითადი სიბრალულისა და ქრისტიანული დამოკიდებულობის მასაზრდოებელ ძალად. აი ეს ნაწილი მამა ჯანაშვილის მოძღვრებისა: „და აწ, ძმანო ქრისტიანენნო, გულ სავსე იყავნ (sic) სვეტი ცხოველისა და კვართისა მადლითა!.. გიხაროდეს ყველას, რომ ჩვენი ქვეყანა იმ თავითვე უყვარდა ღმერთს! მან ნაცვა საქართველოს ქრისტეს პერანგი, რომელსაც ეკკლესია უწოდებს „კვართს". მისავე განგებით მღვთისმშობელს მარიამს, იესო ქრისტეს დედას, საქართველო ერგო და გახდა ქართველთა მფარველად. სვეტი ცეცხლისა, რომელიც ეგვიპტიდან გამოყვანილ

ებრაელებს წინ მიუძღოდა მეწამულ ზღვისკენ თავისუფლების გზის საჩვენებლად და ტყვეობიდან დასახსნელად ღმერთმა მოგვცა ქართველებს სვეტად ცხოველად გულის მირონით განსაწმენდად. ამისთანა უხვი წყალობა არც ერთს ერს არ მიჰნიჭებია ღვთისაგან და ახლა ჩვენ, ქართველთ, ნაცვლად ამ წყალობისა, რა შევწიროდ ღმერთს? სარწმუნოება, სასოება, ძმობა, ერთობა, სიყვარული, კეთილი საქმენი და ზრუნვა, რომ ტაძარი „სვეტი ცხოველისა“ იყოს შემკული და შემოსილ დიდებულად ჩვენმიერ გამეტებულ წვლილით. აი ეს იქნება უუდიდესი მსხვერპლი და შესაწირავი ჩვენგან.»

„ღმერთმა ჩააცვა საქართველოს იესო ქრისტეს პერანგი“—ეს ისეთი გადაჭარბებული და საზღვარ მონგრეული ღიპერბოლაა, რომ თვით გონება განუვითარებელი მსმენელიც-კი მიხვდება მის წრე გადასულობას და ზღაპრულ ხასიათს. საქართველო რომ წილხდომილია მღვთისმშობლისა ეს აზრი მუდამ და ერთობ ხშირად ესმის ხალხს, ჩვენი შეხედულობით, სულ ერთი და იგივეს დაჟინებით და გაუწყვეტელად ძახილი შეწუხება და თავის მოჩვენებაა მსმენელებისა, ღეკვა და ნაყვა ათასჯერ დანაყულ დაღეჭილისა. არაა შესაწყნარებელი ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელთა წინმძღომი სვეტისა და „სვეტი ცხოველის“ ვითომ-და იგივეობა, ჩვეულებრივ გადაჭარბებულია ის აზრიც, ვითომ და ქართველებზე მეტად დაჯილდოებული ღვთისაგან მეორე ერი აღარ მოიპოვებოდეს დედა მიწაზე; ასე ხშირად, ბრალიან ტ უბრალოდ ათასჯერ გამეორებული აზრები არავის არ შერჩება მეხსიერებაში და მათი მოსმენა თანაბარია მოუსმენლობისა.

(შემდეგი იქნება)



იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 25-28 აგვისტოს 1904 წ.

მიმდინარე წელს იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება ძლიერ ადრე მოხდა, მაგრამ ასე ადრე დეპუტატების კრების დაბარება საჭირო იყო გარემოების გამო. წარსულ წელში სამღვდელოების კრებამ ყოველის მხრით მოფიქრების შემდეგ დაადგინა, დასაწყისი მოსამზადებელი კლასები და ნორმალურის ოთხივე პარალელური კლასების დახურვა. მათი მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი დასთანხმდა მარტო ორი მოსამზადებელის დასაწყისი კლასების დახურვაზე, მაგრამ პარალელური კლასების დახურვაზე სამღვდელოების დეპუტატების დადგენილება მათმა მეუფებამ არ დაამტკიცა. მათმა მეუფებამ ისურვა, რომ ეს განყოფილებანი ქუთაისის ოთხკლასიან სასწავლებელში ისევ დარჩენილიყვნენ და ეს კითხვა რასაკვირველია საჭირო იყო აგვისტოს დამლევს განხილულიყო და ამისთვის ასე მოჩქარებულად მოხდა მე-44 იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების რიგის კრება. ამ უკანასკნელ კრებაზე იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებს დიდი მოფიქრება და გამჭრიახობა მართებდა, რადგან სერიოზული კითხვები უნდა გარდაეწყვიტა. სამღვდელოების დეპუტატების ორი წილი პირველ დღესვე შეიკრიბა სასწავლებლის ერთ დიდ დარბაზში. წინანდელმა თავმჯდომარემ მღვდელმა სიმონ მჭედლიძემ შეადგინა სია და დეპუტატებს მოსთხოვა თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატების დასახელება. რამდენიმე დეპუტატმა თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელა დეკ. დავით ღამბაშიძე. დეკანოზი დავით ღამბაშიძე ამ დროს კრებაზე არ იყო და მამა სიმონ მჭედლიძემ მოითხოვა, რომ სხვა დაესახელებინათ ვინმე. მაგრამ უმრავლესმა დეპუტატებმა განუცხადეს სურვილი მოეწოდებინათ იგი, რადგან იგი აქ არისო. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა იგიც და ერთხმად სთხოვეს მას კრების თავმჯდომარეობა. დეპუტატებისაგან ერთხმად არჩევაზე უკენჭოთ არ გახდა თანახმა, რადგან ამნაირი არჩევა კანონის წინააღმდეგიაო და შემდეგ კრებამ დასახელა თავმჯდომარის კანდიდატებად დეკ. დ. ღამბაშიძე, დეკ. ერ. ვეფხვაძე და მღვდელი ა. გერასმია. უმეტესი კენჭით დეკ. დ. ღამბაშიძე იყო არჩეული და დანარჩენმა კანდიდატებმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს. საქმის მწარმოებლად ერთხმად იყო არჩეული მღ. სერაფიონ ცაგარეიშვილი. 25 აგვისტოს ნაშუადღევის პირველ საათზე კრებაზე შემობრძანდა მათი მეუფება იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. მათმა მეუფებამ, აკურთხა კრება და დეპუტატებს მიმართა მგრძნობარე სიტყვით, გააფრთხილა იგინი და ურჩია, რომ ყოველი კითხვა როგორც სასწავლებლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ ისე სხვა საგნებზე, რომელიც გარდმოგეცემათ ან თვითონ თქვენ გექნებათ, მოიფიქრეთ ყოველი მხრით და ისე აუჩქარებლად მოფიქრებით გარდაწყვიტეთო. ეცადეთ, რომ ყოველი თქვენი გარდაწყვეტილება ჯეროვანად იქნეს დასაბუთებული. ნუ დაიწყებთ ისეთ საგნებზე ბაასს, რაც კრების უფლებას აღემატება და ნუ დაივიწყებთ, რომ ჩემდა ნება დაურთველად კრებას არა აქვს მსჯელობა იქონიოს სხვა-და-სხვა საგნებზე და ჟურნალი შეადგინოსო.

კრებამ ამ დღეს ჩამოთვალა ყველა საბაასო კითხვები და მეორე დღისათვის გადასდო სხდომა.

მეორე დღეს 26 აგვისტოს დილის 9 საათზე შეიკრიბნენ ყველა დეპუტატები. პირველი საგანი, რომლისგამო სამღვდელოების დეპუტატები იყვნენ შეკრებილნი იყო მსჯელობა: დარჩენილიყო პარალელური განყოფილებანი წინანდებურად თუ არა. თამჯდომარემ წაიკითხა გრძელი პასუხი ეპარქიის მეთვალყურის ბ. ბასილაშვილისა იმის შესახებ თუ რა განსხვავება არსებობს სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებლის სწავლის პროგრამაში. ვრცელი მოსაზრება მოეყვანა ბ-ნ ბასილაშვილს, რომ სამრევლო სკოლებს არას გზით არ შეუძლიათ მოამზადონ მოსწავლენი მოსამზადებელი კლასებისათვისო. მაშასადამე მოსამზადებელი კლასები უთუოდ უნდა დარჩენო, (ზოგიერთები იმასაც ჰფიქრობენ, რომ, თუ მოსამზადებელ კლასებში რუსის მასწავლებელნი იქნებიან, მაშინ რუსული ენის სწავლებაც უმჯობესად წავალ). პარალელური კლასების დატოვების გამო მიწერ-მოწერის ქაღალდებიდან სჩანდა, რომ პირველი ხანა და ზველა სამღვდელოების შვილების აღზრდის საქმეში სწორედ ამ პარალელურ განყოფილებას ექნება და რჩევას იძლეოდენ უთუოდ უნდა დატოვებულიყო. ამ მიწერ-მოწერას თან ახლდა რამდენიმე წინა კრების დეპუტატების აზრი, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ სამღვდელოების შვილების განათლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარალელურ განყოფილებათა დატოვებასაო და სხვა...

კრებამ ყოველის მხრით გამოიკვლია ეს კითხვა განიხილა ის საბუთები და მოფიქრებანი, რომელზედაც იყო დამყარებული წინა კრების ჟურნალი პარალელურ განყოფილებათა დახურვის შესახებ. მოიყვანა ახალი დამამტკიცებელი საბუთები ამ განყოფილებათა გაუქმების გამო. კრებამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ყოველ დროს სასწავლებლის მმართველობა სამღვდელოების და მაღალი მთავრობის წინაშე თავს იმართლებდენ ხოლმე და ამბობდენ, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის და წესიერების საქმეს ზედმეტად აბრკოლებს შეგირდების სიმრავლეო. შორიდან ან ახლო ადგილებიდან მოსულნი რევიზორები ხომ სულ ნიადაგ შენიშვნას იძლეოდენ, რომ ყოველად შეუძლებელია ამდენი შაგირდების ერთად ყოფნაო და უთუოდ მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი უნდა გაიხსნასო. უკანასკნელად მოსულმა რევიზორმა დაამტკიცა, რომ სარწმუნოება შაგირდებში დასუსტებულა, რადგან ყველანი ერთად ვერ ისმენენ წირვას სასწავლებლის ეკკლესიაში და სხვა-და-სხვა ეკკლესიებზე დადიანო.

ბატონი ბასილაშვილი ტყუვილად დამაშვრალიყო და ურჩევდა სამღვდელოებას მოსამზადებელი კლასები არ დაეხურა. სამღვდელოების კრებამ მოსამზადებელი კლასის დასაწყისი კლასი დახურა, თორემ ნორმალური კლასები არ დაუხურავს—დახურა მხოლოდ პარალელური კლასები.

ამასწინად თვითონ სასწავლებლის მმართველობა უცხადებდა სამღვდელოების კრებას, თუ პარალელური კლასები დარჩა, კაპიტალური რემონტი დასჭირდება კლასის შენობას და ოთხმოცი ათასი მანეთი არის საჭიროო. უთუოდ სასწავლებელი უნდა გაიხსნას მეორე ადგილასო და სხვა-და-სხვა. ამისთანა მოსაზრებათაგან სამღვდელოების კრებას თავი ჰქონდა მობეზრებული. როცა სემენარია იყო ქუთაისში, მაშინ კიდევ იტყოდა კაცი ამ პარალელურ განყოფილებათა დარჩენის სარგებლობას, თუმცა ყველა ოთხი კლასის კურს-დამთავრებულნი ვერ შედიოდენ სემენარიაში, და დღეს როცა იმედი აღარა აქვსთ. სემენარიაში შესვლისა, რა სარგებლობას მოიტანს პარალელური კლასების დატოვება და ამდენი უშველებელი ხარჯის მოხდენა ყოველ წლობით მათ შესანახავად? ოთხი კლასის კურს დამთავრებულთ მედავითნეობა მაინც უნდა შეეძლოსთ, მაგრამ, სამწუხაროდ, თუ მონასტერში არ წავიდნენ საღმრთო წერილის შესასწავლად ამ თანამდებობის ღირსნიც არ გახდებიან. რისთვის უნდა ჰხარჯოს ფულები 7 წლის განმავლობაში მღვდელმა, თუ მისი შვილი ვერაფერს ადგილს ვერ ეღირსება? რამდენიმე დეპუტატების საკუთარი აზრისათვის კრებას ყურადღება არ მიუქცევია, რადგან მათი აზრი ყოველ დინჯ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველს მოკლებული იყო. ჩვენის აზრით ეს დეპუტატები წინააღმდეგი შეიქნებოდენ პარალელური კლასების დატოვებისა, რომ კრებას გადაეწყვიტა მათი დატოკება. ამისთანა სნეულებით არიან შეპყრობილნი ზოგიერთები!.. მიიღო სახეში ყველა ეს ზემო ნათქვამი სამღვდელოების კრებამ, და დაადგინა დახურვა ყველა პარალელური და მოსამზადებლის დასაწყისის კლასებისა.

(გაგრძელება იქნება).

დამსწრე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

როდესაც რომელიმე დიდ საპატრო თანამდებობას იღებს მთავრობისაგან დანიშნული პირი, იგი ვალად რაცხს გამოაცხადოს თავისი მიმართულება და თავისი შეხედულობა თავის მოვალეობის აღსრულების შესახებ. შინაგან მინისტრის ადგილზე ბლევეს სიკვდილის შემდეგ დანიშნა ბ-ნ თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. თავადმა სიტყვა წარმოსთქვა და ამ სიტყვაში ცხადად განმარტა, თუ რა გზას დაადგება იგი. იმის სიტყვა აღფრთოვანებით მიიღო ბეჭდვითმა სიტყვამ. მოვიყვანთ აქ საყურადღებო გზეთებისაგან გამოთქმულ აზრებს. სხვათა შორის «ს. პეტერ. ვედ.»-მა შემდეგი აზრი გამოსთქვა ამ სიტყვის შესახებ:

„როგორღაც უხერხულად მიგვაჩნია, კიდევაც გვრცხვენია კალმის აღება დღესაკით ნათელ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, რომ ორჯერ ორი ოთხია. ყველას ახსოვს მოლტკეს სიტყვები: საფრანგეთი გერმანიის სკოლის მოსწავლეებმა დაამარცხეო. ამ ჭეშმარიტების შეგნება ძალიან ნელად მიდის ჩვენს ეონებაში. ჩვენ არა მარტო სკოლის მოსწავლეები არ გვივარგა, მთელი ჩვენი კულტურა-განათლება ძირთხელია. ჩვენს რკინი გზებზე გულსაკლავი აურზაური სუფევს, ჩვენი მრეწველობა ორსავე ფეხით კოჭლობს, მიწათ-მოქმედება დაქვეითებულია; ყველგან, სადაც-კი გაიხედავთ—სიღარიბე, უფულობა და ძარცვა-გლეჯა. უეიცობით ხომ ჩვენ მთელ ქვეყანაზე სახელ-განთქმულნი ვართ; ჯერ-ჯერობით ანაბანაც არ ვიცით, ქვეყნის არა გაგვეგებაარა. ყველასათვის დღესავით ნათელი უნდა იყოს ჩვენი უმიდესი მდგომარეობა. რუსეთის საზოგადოების, პრესის და ყველა შეგნებულ კაცის ერთად ერთი მტკიცე სათხოვარი ეს არის: ნება მოგვეცით თავისუფლად გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, თავისუფლად ვიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

„ბირჟ. ვედ.“-ი შემდეგს ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვის შესახებ:

„ბეჭდვითი სიტყვა, პრესსა ურფელის თანაგრძნობით მიეგებება მინისტრის სიტყვას; პრესსა კი საუკეთესო ფიქრთა და მისწრაფებათა გამომხატველი, სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობისათვის უმძლავრესი იარაღია. პრესისადმი ნდობა—საზოგადოებისადმი ნდობას ნიშნავს. შორს არ არის ის დრო, როცა პრესის საშუალებით გამოთქმულ თვითეულ გულწრფელ აზრს და თვით-მმართველობათა გონიერ მოქმედებას ადმინისტრაცია ეჭვის თვალით უყურებდა, თავის უფლებათა შებღალვად მიაჩნდა. ყოფილმა მინისტრმა დ. ი. ტოლსტოიმ მკაცრის ხელით დაადგა ბორკილი საზოგადოებრივ თვით-მოქმედებას და სკოლას, სასტიკ ზედამხედველობას დაუმორჩილა გლეხობა, საერობო და საქალაქო თვით-მმართველობანი სახაზინო გამგეობად აქცია, ადგილობრივსა და საზოგადო ადმინისტრაციას დაუმორჩილა. ეს პოლიტიკა საზოგადოების მიმართ ნდობის უარყოფის პოლიტიკა იყო, რომელსაც სამწუხარო შედეგი მოჰყვა, რასაც დღეს ყველა ნათლად ხედავს. ადმინისტრაციამ საზოგადოების დაუხმარებლად ვერ შესძლო საერო განათლების საქმის მოწყობა. 1901 წელს 25 მარტს გამოცემულ მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ საერო განათლების საქმე ცუდ მდგომარეობაშია. შებორკილ ერობისა და საქალაქო თვით-მმართველობის მოქმედებამ მკრთალი ნაყოფი გამოიღო, ადმინისტრატიულ შევიწროების გამო. ადმინისტრაციისა და საზოგადოების შორის უნდობლობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და სამწუხარო უთანხმოებათა წყაროდ შეიქმნა. გლეხობის თვით-მოქმედების შევიწროებამაც ცუდი ნაყოფი გამოიღო, რაიცა ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ს. ი. ვიტტემ აღნიშნა 1899 წ. თავის მოხსენებაში და სთქვა, ეს შევიწროება ჩვენი სოფლის სიღარიბის ძ დაქვეითების უმთავრეს მიზეზად გახდაო“.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „რუს“-ს მოჰყავს ფრიად საყურადღებო აზრები ცნობილ მოღვაწის, ნ. ი. ილმინსკისა, ro-rომელმაც სიცოცხლე შესწირა რუსეთში დასახლებულ უცხო ტომთა განათლების საქმეს. ილმინსკის აზრები იმისი საყვარელი საგნის შესახებ გამჭრიახი გონებისა და უცხო ტომთა მიმართ წრფელის გრძნობის ნაწარმოებია. სამოსწავლო ასპარეზზე ხანგრძლივმა მოღვაწეობამ ორი შეურყეველი ჭეშმარიტება დაუნერგა ილმინსკის: 1) უცხო ტომთა სწავლება სამშობლო ენაზე, ნამდვილ ხალხურ ენაზე უნდა სწარმოებდეს; 2) მასწავლებლებად უცხო ტომთა სკოლებში მათი თანამემამულენი უნდა იყვნენ. იგი მსჯელობს დღესავით ნათელ ჭეშმარიტების შესახებ და ამბობს:

„ბავშვი რომ იბადება, პირველი ცხოვრების წყარო მისთვის დედის ძუძუა, რომელიც შესძენს ბავშვს ჯანსა და დედასთან მკვიდრ, ბუნებრივ კავშირს. გონებით დაბრმავებულთა გარდა არავინ იტყვის, რომ ბავშვს დედის ძუძუს წოვის უფლება არა აქვს. როცა ბავშვი დედის ძუძუთი იკვებება, მშობლისა და შობილის შორის მტკიცდება საიდუმლო, ღრმა მნიშვნელობით სავსე კავშირი. ეს არ ესმისთ მხოლოდ იმათ, რომელნიც გუგულივით ძიძებს მიუგდებენ ხოლმე თავის ბავშვებს აღსაზრდელად. დედის ძუძუსა და კავშირს მოშორებული ბავშვი უბედურია, სულითა და გულით იჩაგრება. სამშობლო ენას მოშორებული ადამიანიც—უბედური, სულით დაჩაგრული სულდგმულია. სამშობლო ენასთან ერთად ბავშვს თანდათან ებადება მტკიცე, ღრმა-მნიშვნელოვანი კავშირი მის გარეშემო ცხოვრებასა და ბუნებასთან, რომელსაც ვერავინ შეჰქმნის ხელოვნურად და ძალ-დატანებით.“

ილმინსკიმ ნათლად, გამოცდილებით იცოდა, თუ რა არის ადამიანისათვის სამშობლო ენა, რომლის მნიშვნელობას უარჰყოფს მხოლოდ კარ-დახშულ კანცელარიაში ანუ კაბინეტში აღზრდილი კარ-დახშული გონება. სამშობლო ენის მტრებს საბუთად ის მოჰყავთ, რომ ეს ენა სეპარატიზმს, განკერძოების, სახელმწიფოსაგან განდგომის სურვილს უღვიძებს ადამიანსო. „ბრმა და ხედვის ურჩი“ ბავშვსაც მოაშორებს დედის ძუძუს და ძროხას ჩაბარებს აღსაზრდელად, იმ მოსაზრებით, რომ დედის ძუძუ განხეთქილების სურვილს უღვიძებს ბავშვს, დედის მტერს ყველას შეაძულებს.

ილმინსკი, რომელიც რუსეთში დასახლებულ მაჰმადიანთა ჭეშმარიტ განათლებას იცავდა, ბოლოს და ბოლოს მრავალ ქვემძრომთაგან ცილის წამებასა და უგუნურ შეურაცყოფას ეღირსა, დასწამეს, რუსეთს ჰღალატობს და გამაჰმადიანება უნდაო, მაგრამ ილმინსკი სულით არ ეცემოდა, მამაცად ებრძოდა თავის მტრებს სიტყვიერად, თავისი მძლავრი რწმენით და უღვიძებდა საზოგადოებას სამშობლო ენის მნიშვნელობის ჭეშმარიტ შეგნებას.

*
* *

«მოსკ. ვედომ.»-ი ამბედრდა საერობო გამგეობათა უფროსების კრების წინააღმდეგ. ეს გაზეთი საზოგადოდ ყველა კრების წინააღმდეგია, რადგან კრება ერთობას ნიშნავს, ერთობა-კი... სახელმწიფოს წეს-წყობილების შერყევას. „მოსკოვ. ვედ.“-ს რომ ყოვლად შემძლებლობა მიენიჭოს, მთელ დედამიწის ზურგს ვეება საპატიმროდ აქცევს ჯ კაცობრიობაში თვითეულ ადამიანს ცალკე განყოფილებაში დაამწყვდევს, რადგან კაცთა შორის ერთობა—დედამიწის დამხობას, ქვეყნის დაღუპვას ჰნიშნავს. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, „მრქენელ ხარს ღმერთი რქებს არ აძლევს“-ო. „მოსკ. ვედ.“-ც სწორედ იმ ურქო ხარს მოგვაგონებს, რომელიც თავისს უძლურ ფართიფურთითა და დამფრთხალ უგემურ ბღავილით ქვეყანას გულს უწუხებს.

*
* *

ომის ამბები. ლიაოიანთან ბრძოლის დროს იაპონიის სამხედრო მინისტრის გენ. ტერაუჩის, გენ. ფუკუშიმასი და გენ. მორუკის შვილები მოუკლავთ. სამივე გენერალი მაინც დასწრებია ლიაოიანის ბრძოლის გამო გამართულს ნადიმს. (რ. ლ.)

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ: შავის ზღვის ნ ჯავშნიან გემს ბძანება მოუვიდათ, მოემზადენით, მალე ბალტიის ესკადრას უნდა გაჰყვეთო. რუსეთმა 80 დიდი გემი დაიქირავა ქა-ნაზშირის საზიდად. ეს გემები ეხლა ემსმუნდუგში (გერმანიაში) ელიან ბალტიის ესკადრას. (რ.)

„ეკო დე პარი“ იუწყება: ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოუცხადა ინგლისელ ვაჭრებს, ნება არა გაქვთ, მეომარ სახელმწიფოს გემებს ქვა ნახშირი უზიდოთო. (ნ)

რუსის წერილი „მონგოლიაზ“-ზე. ერთი რუსი სწერს „ნოვოსტი დნიო“-ს: «24 ივლისს სასანიტარო გემ «მონგოლია»-ზე ვიყავ და უმაგალითო, თავზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცემ ბრძოლას დავესწარ. როგორც იცით, «მონგოლია» რუსის ესკადრას გაჰყვა. ბრძოლის დროს იაპონელები მეტად კაკო-მოყვარულად და თავზიანად მოექცნენ «მონგოლია»-ს ეტყობოდა, რომ გვიფრთხილდებოდნენ. ორჯელ მოჰშორდა „მონგოლია“ რუსის ესკადრას, მაგრამ იაპონელებმა ხმაც არ გაგვცეს. ერთჯერ იაპონელებმა თითონ მოგვცეს სიგნალი: «მარცხნივ დადექითო», ჩვენც, რასაკვირველია, მაშინვე მარცხნივ მივიწიეთ. ერთ წამს „მონგოლია“ რუსის და იაპონიის ესკადრის შუა მოექცა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ერთი ყუმბარა არ მოხვდა. ბრძოლის შემდეგ ღამე იაპონიის ნაღმიანი გემები ბევრჯელ მოგვიახლოვდნენ, მაგრამ ხმა არ გაგვცეს. დილით მშვიდობიანად პორტ-არტურში დავბრუნდით“.—«მონგოლია»-ზე ავადმყოფი და დაჭრილი მეზღვაურები იმყოფებოდნენ. (ნ. დ.)

რუსის დამოჩაკები.

გაზეთ «რუს. სლოვოს» შემდეგი ღია წერილი მიუღია, 11 ქალისაგან ხელმოწერილი:

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს „რუსის დამოჩაკებმა“ (რუსის ქალებს ვერ უწოდებთ) სახელი გაითქვეს ტყვედ წამოყვანილ ოსმალ ჯარის-კაცების განებივრებით: თავს ევლებოდნენ, ეარშიყებოდნენ, ყვავილებით ამკობდნენ და უმჯნურდებოდნენ. ამ საქციელისათვის ყველა რიგიანი ადამიანი ჰკიცხავდა და ზიზღს უცხადებდა.

განვლო 27 წელმა. საფიქრებელი იყო, რომ საზოგადოება გაუმჯობესდა, ახალი თაობა ჯეროვანად აღიზარდა, თავისი თავი ‍ᲬᲔ მოვალეობა შეიგნო, ეროვნული სიამაყე და თავმოყვარეობა უფრო განმტკიცდა და წინანდელს სიმსუბუქეს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა.

მაგრამ... ვაი, ვაი!

წაიკითხეთ კორესპონდენციები სამარა, ტვერი, ორიოლ, კალუგა და სხვა ქალაქებიდან და დარწმუნდებით, რომ «რუსის დამოჩკები» კვალად მრავლად ყოფილან და, წინანდებურად, ახალ ჩვენს მტრებს,—დატყვევებულ იაპონელებს,—ეკურკურებიან და უარშიყდებიან.

სირცხვილი, თავსლაფდასხმა!

ჩვენ, პატარა ჯგუფი ვკიცხავთ ამ „დამოჩკების“ საქციელს, რომლებიც სახელს უტეხავენ რუსის ქალს შინ და საზღვარს იქით.

იმ დროს როდესაც 300 რუსის ქალი პორტ-არტურში დღე და ღამე დაუღალავად უვლის და ამხნევებს თავგანწირულ მეციხოვნებს და ალყა შემორტყმულ ციხეში ათასნაირ გაჭირვებას იტანს,—ჩვენი «რუსის დამოჩკები» აქ, ჩვენს ჭერ-ქვეშ, თითქმის ეხვევიან და ჰკოცნიან იაპონელებს,—სწორედ იმ იაპონელებს, რომლებიც ჰკლავდნენ და ჰკლავენ ჩვენს ქმრებს, შვილებს, მამებსა და ძმებს!

სირცხვილი, თაესლაფდასხმა!

ჩვენ მხნე ქალებს პორტ-არტურსა და მანჯურიაში მთელი კაცობრიობა განცვიფრებით შეჰყურებს. იმათ კურთხევას უთვლიან, იმათთვის ლოცულობენ, ისინი გმირებად არიან მიჩნეულნი.

ამათ რაღა უნდა უწოდოთ, ამ „რუსის დამოჩკებსა“, სამარა, ტვერ, ორიოლ, კალუგა და სხვა ქალაქელებს?

ისინი მოღალატენი არიან იმ მეომმრთა წინაშე, რომელნიც სისხლსა ღვრიან შორეულ-აღმოსავლეთში.

იმათ თავსლაფი უნდა დაასხან რუსის ქალებმა, რომელთაც მკერდში რუსის გული უცემთ, რომელთათვის სამშობლოს პატივისცემა და კეთილი სახელი ძვირფასია.

ყველა ჩვენგანი, რუსეთის ყოველ კუთხეში მტხოვრები, მოვალეა გაჰკიცხოს სხვა-და-სხვა ქალაქების „რუსის დამოჩკები“ და ამით საზიზღარი საქციელი მოაშლევინონ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** სვირის სადგურზე შეუპყრიათ სამი კაცი, ალექსი ჩხეიძე, სილიბისტრო სვანიძე და გიორგი კანდელაკი, რომელთაც გელათის მონასტრის გაძარცვა (19 ივლისს) ჰბრალდებათ. გელათის გარდა, ამათ სხვა ძარცვა-გლეჯაც ჩაუდენიათ ქუთაისისა და სენაკის მაზრებში.

*** ოფიციალურის ცნობებით, ბაქოში 17 სექტემბერს ავად გამხდარა 10 კაცი, სამი გარდაცვლილა; 17 სექტემბერს ავად გახდა —10, მოკვდა 6; ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევით, 29 აბანოდგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 ხოლერის ბაცილებიანი აღმოჩნდა და დროებით გააუქმეს, ვიდრე დეზინფექციას გაათავებდნენ. თათრების საბანაო აუზები სამუდამოდ გააუქმეს, წყლების კვლევა-ძიებას კიდევ განაგრძობენ. 19 სექტემბერ ბაქოში ხოლერით 18 კაცი გახდა ავად, აქედან 8 გარდაიცვალა.

*** გზით „რუს. სლოვოს" დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: 16 სექტემბერი. იაპონელების მზეერავი რაზმები სადგურ მახემდე მოდიან. ექვსი მხედარი ჩამოქვეითებულიყო და მოიპარებოდა. ჩვენმა ქვეითა რაზმა შენიშნა, გამოეკიდა და მომწყვდევას სცდილობდა. ხუთნი ცხენს შემოახტნენ და გააჭენეს. მეექვსეს ცხენი გაოლიანში შევარდა და მიიმალა. გაოლიანს სჭრიან მინდორში, მაგრამ უგულოდ და ნელ-ნელა. ბევრი სოფელი დაიცალა, მცხოვრებნი აქეთ-იქით გაიფანტნენ. ამბობენ, იაპონელები პირველად ეცდებიან ფუშუნის ქვა-ნახშირის მადნები დაიჭირონ.

ტელინიდან ქალები გაიხიზნენ.

ჩინელი იჯარადარი ლიანტინა, რომელსაც, იმის სიტყვით, იაპონელებმა მამა და ორი ძმა მოუკლეს, ამბობს, ვითომც ინკოუში იაპონელები ცოცხალ ჩინელებს მარხავდნენ, რუსებს რად ემსახურებოდითო.

*** ტელინი. 15 სექტემბერი. გამოიდარა. მზიანი დღეებია, მაგრამ სუსხიანი. მოდიან ჩვენი ახალი პოლკები, ნამდვილი ჯარი და არა სათადარიგო რაზმებისაგან შემდგარი.

ხარბინში ჯარისათვის ამზადებენ დიდს სახლს, რომელიც გიმნაზიისათვის შენდებოდა.

მანჯურიაში ისეთი კარგი მოსავალი იყო, რომ მთელ ლაშქარს ეყოფა სურსათი.

მრავალი კორესპონდენტი შინ დაბრუნდა, რადგან ვერ გაუძლო აქაურ გარემოებას, წვიმა-ავდარს და წანწალს. წამოვიდა რუსეთს დემჩინსკიც. «რუსის» კორესპონდენტები პოპოვი და დუდაროვი, ომში დაჭრილნი მორჩნენ.

იაპონელების აგენტები მონგოლიის შუაგულამდე მიდიან და საქონლის გადმორეკას უშლიან. ცხენებს ბლომად ყიდულობენ და კაგრს ფასს არ იშურებენ. თავისი კაცები ჰყავთ ყველგან გაგზავნილი და ჩინელების ურმებს ქირაობენ ჩვენის ჯარის ბანაკს ახლოც-კი.

იაპონელები ხუნხუზების ტანთსაცმელში გამოწყობილი და ნამდვილი ხუნხუზები, რომელსაც იაპონელები ჯამაგირს აძლევენ, მანჯურიაში დათარეშობენ და ავაზაკობენ.

*** „ნიუ-იორკ ჰერალდი" ამბობს, მარშალი ოიამა ემზადება გასალაშქრებლად ჩრდილოეთისაკენ. ის კვალად თავის ტაქტიკას ადგია, როგორც ლიაოიანთან და სამი ლაშქარი ირგვლივ მიჰყავს წინ: შუბლის ჯარი დაწინაურებული ჰყავს დასავლეთად თითქმის სინმიტინიდგან ტელინამდე. კუროკის ლაშქარიც ტელინისაკენ მიიწევს, რომ რუსების კავალერია უკან დასწიოს, რომელიც მარცხენა ფრთას იფარავს. ლიაოიანის მხარეს კი მცირე რაზმები უყენიათ.

*** სხვა-და-სხვა დაწესებულებათ გაეგზავნა განსახილველად პროექტი იმის შესახებ, თუ რა და რა ზომები უნდა იქნას მიღებული ძალად გაკოტრებულთა ასალაგმავად. პროექტით ამ კოტრებისაგან სხვებზე გადაცემული მამული კანონიერად გადაცემულად არ ჩაითვლება, თუ მამულის გადაცემიდან კოტრობის გამოცხადებამდის ორი წელიწადი არ გასულა.

*** ხარკოვიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში დიდი ცვლილება მოხდა. 22 პროფესსორსა და ლექტორს დაუტოვებია ეს უმაღლესი სასწავლებელი. მათგან ერთი ნაწილი დათხოვნილ იქმნა, დანარჩენნი კი თავის ნებით გადამდგარან სამსახურიდან. ამ პროფესორთა შორის ზოგიერთები სახელ-განთქმულნი ყოფილან სამეცნიერო წრეებში.

*** ტოკიოდან იუწყებიან 26 სექტემბერს, (რეიტ. სააგენტო"). როგორც პორტ-არტურიდან იუწყებიან, იაპონელებმა აიღეს სიმაგრეები. ეხლა იაპონელებს წინანდელზედ უმფრო ადვილად შეუძლიანთ დაუშინონ ყუმბარები ნავთ-სადგურში მყოფ რუსის გემებს. იაპონიის საკანონიერო ნავები ეხლა მორტირებით არიან შეიარაღებულნი.

*** შანჰაი, 25 სექტემბერი («რეიტ. სააგენტო"). იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს სამარა მასალით დატვირთული ნავები იმ დროს, როდესაც ეს ნავები სცდილობდნენ იაპონელთა გემების წრის გარღვევას და პორტ-არტურში შესვლას. ერთი გემი მაინც შევიდა. ამ გემზე 7,000 ტონნა სურსათი და სამარი მასალა იყო.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

სიტყვა.

თქმული დეკ. ლუკა ზაბაშვილის მეუღლის თეოდოსიას დასაფლავებაზე.

> რომელმან პოოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ (იგავ. სოლ. 18, 22).

თუ მოყვანილი სიტყვების აზრისა და მნიშვნელობის უცილობელი სინამდვილე ცხადი და უეჭველი ხდება ხოლმე მრავალთათვის მხოლოდ შემდეგ მწარე და უბედური პირადი გამოცდილებისა, შემდეგ იმისა, როდესაც მათი ცხოვრება უკვე დაექანება ხოლმე სამუდამო დაღუპვისა ‌ ‌ ‌

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარება, თუ მღვდელს გულით უყვარს სამწყსო, თუ ხშირად სრულის სიწრფოებით ავედრებს იგი თავის მრევლს უფალსა, ხშირად თეთრად ათენებს ღამეებს იმის მოფიქრებაში რა ვარგო, რით ვემსახურო მრევლსაო, ამას ამის ნაკლებად დაგიჯერებს ვინმე. რამ დაბადა ხალხში ესეთი შეხედულობა მღვდლებზე, აქ შეუძლებელია იმისი დაწვრილებითი გამოკვლევა, ვიტყვი მხოლოდ, რომ მღვდლების საზელის გატეხაში არ უნდა იყვნენ უმონაწილონი, სხვათა შორის, მღვდლების მეუღლეები.

შედარებას რომ მივმართოთ, მღვდლის ცოლი უნდა დავადაროთ დედა ფუტკარს, ხოლო მღვდელი მუშა ფუტკარს, მაგრამ ამასთან ერთად უნდა აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ის არსებითი განსხვავება, რომ იმ დროს, როდესაც მუშა ფუტკარი გარედან ეზიდება შინ თაფლს, ცვილს, დედისა და ოჯახისთვის საზრდოს, მღვდელს თავისი მეუღლის განსაკუთრებითი დახმარებისა და შემწეობის ძალით უნდა საკუთარი ოჯახიდან გამოჰქონდეს სამწყსოში მოსაფენად სიტკბოება, გონების საზრდო, ზნეობის საზრდო და ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო სიმდიდრე. ადრე დილიდან საღამომდე მღვდელი შრომობს და საქმიანობს მრევლში: აქ უნდა მან გაამხნეოს და დაამშვიდოს უბედურად დარჩომილი ქვრივი, იქ გზაზე დააყენოს უმწეო ობლები, ამას უნდა გაუღვიძოს სწავლის ხალისი, იმას მოუსპოს უსიამოვნება მეზობელთან, ეს შერისხოს და მამობრუვად დასაჯოს, მეორეს მიეფეროს და დაარიგოს, ამათთან ილოცოს, სხვებთან იმღეროს და სხვ. და სხვ. ამგვარად დამაშვრალი, ღონე მიხდილი, მოკლებული სამოქმედო ხალისს ბრუნდება მღვდელი საღამოს ხანს თავის ოჯახში და ნეტარება მას, თუ სიამოვნებით მოელის მის დაბრუნებას ოჯახის დედა, თუ მონაწილეობით, ხალისით და მტკივნეულად ეკითხება მას, რა გაარიგა, რა ნახა, რამ გაახარა და რამ ააღელვა მრევლში, თუ დიასახლისი თანაუგრძნობს მღვდლის მოღვაწეობას, თუ მის გულს ათფობს საღმრთო ცეცხლი ხალხისადმი სიყვარულისა. საკმარისია რამდენიმე საათი ამ გვარი ზნეობრივი თანაგრძნობისა, რომ მღვდელს გაუაროს ფიზიკურმა დაღლილობამ, საკმარისია მცირეოდენი ჟამი ამგვარი მფარველი ანგელოზის ფრთეთა ქვეშე შეფარებისა, რომ მღვდელს მთლად მიაევწყდეს განვლილი სიმწარენი, საკმარისია ასეთი მეგობრის უბრალო სურვილი რომ მღვდელი დილის მზის სხივებთან ერთად ხალისით გაფრინდეს მრევლში მუყაითი მუშა ფუტკარისავით სამოქმედოდ. მაგრამ ვინ არ იცის როგორი სისწრაფით ანელებს და ძირიანად სპობს მთელს სკას ეგრედ წოდებული ონავარი, თავაშვებული, მცონარი და უვარგისი დედა ფუტკარი? როგორ უსპობს იგი შრომის ხალისს მუშა ფუტკრებს? ვინ იცის რამდენია ამ მწერის მსგავსი სამღვდელო პირების ცოლთა შორის და რა დიდი მონაწილეობა ეკუთვნით მათ მღვდლების ზნეობითად დაქვეითების საქმეში!

ახლად გარდაცვალებული მხევალი ღვთისა თეოდოსია აშკარად სჩანს, მიჩნეული იყო ტ პატივსაცემელი დედის მსგავს ადამიანად და ამის გამოა, რომ ასე გლოვობენ და თავს ევლებიან მას როგორც ქმარი, ისე მეზობლები, როგორც ნათესავნი, ისე ნაცნობნი, როგორც მამა-კაცნი, ისე მანდილოსანნი, როგორც სამღვდელონი, ისე საერონი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო სულო! ამინ.

ეპისკოპოსი დეონიდე.

სიტყვა.

თქმული 5 ჯვისტოს ხონის წ. გიორგის ტაძარში ვაჭრის რომანოზ ბასტაძის დასაფლავებაზე.

„მოვედით, ერნო მორწმუნენო, დასასრულისა ამბორის ყოფა მივცეთ მკვდარსა, და ვმადლობდეთ ღმერთსა“.

კიდევ გასჭრა უგრძნობელმა და ცივმა ბარმა რღმა სამარე საბრალო კაცის გვამის დასალპობად. კიდევ გადესხა თავზე ჩვენი მოყვასის ოჯახს მწვავი მწუხარების მდუღარება, კიდევ შევიქენით მოწამენი ქვრივ-ობლების გულდამწველი და სისხლ გამშრობი ცრემლთა ფრქვევისა... სული გვიწუხს, გულზე ლოდსავით დაგვწოლია ღრმა მწუხარება, ვერ წარმოგვიდგენია, რაფრად მოვინელოთ მიცვალებულის მოშორება, მისი გასტუმრება იქ, საიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულა, და ამგვარ მდგომარეობაში წმ. ეკლესია მოგვმართავს ბრძანებით: „მოვედით, ერნო მორწმუნენო, დასასრულისა ამბორის ყოფა მივცეთ მკვდარსა, და ვმადლობდეთ ღმერთსა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაღ, ამბორის ყოფა, ნთხვევა, დაკოცნა მიცვალებულის გაცივებული შუბლისა მწუხარების მოსანელებელი საშუალებაა მგლოვარეთა გულის მოთხოვნილებაა და უნებლიედაც ვასრულებთ ამას, გარნა რაღაზე უნდა ვმადლობდეთ ღმერთსა ამ შენთხვევაში? სიცოცხლე მოუსპო ჩემ საყვარელ არსებას, ჩემს კერის წყალი დაესხა, დამიშრა სიხარულის წყარო, და კიდევ მადლობა შევსწიროო— ეს ხომ გაუგებარი რამაა, ეს ხომ წინააღმდეგია კაცის ბუნებისაო, იფიქრებს ვინმე თქვენგანნ: მაგრამ «ჲი, კაცო, შენ ვინ ხარ, რომელი სიტყვას უგებ ღმერთსა? რქვას ნუმეა, ქმნულმან შემოქმედსა: რაისთვის ესრეთ შემქმენ მე?“ ასეთი საყვედურით რომ მივმართავთ ღმერთს, გვიფიქრია რა შეადგენს კაცის ბუნებას და რა ამაგი აქვს გაწეული მაზე უფალსა? მიწა, ნაცარი, ერთი მუჭა მტვერი—აი ჩვენი ბუნება, აი ჩვენი არსება. ვინ გახადა ეს არარაობა, ეს არაფრად ღირებული მტვერი და მიწა სადგურად და ჭურჭლად უკვდავი და გონიერი სულისა? ვინ დაბადა ამ მტვრისაგან კაცი, რომელიც შეერთებული იყო ჩვენთან ათასგვარი კავშირით, რომელიც უნათებდა თავის ოჯახს ცხოვრების გზას, ჰფენდა თავის გარშემო ამდენ ხანს სიამოვნებას, სიხარულს და ბედნიერებას თუ არა განუსაზღვრელმა ჩვენი გონებისაგან მიუწდომელმა და ჩვენი სიტყვით გამოუთქმელმა ღვთის კაცთმოყვარებამ? განა დასავიწყარია როდისმე ესოდენი სიკეთე, ესოდენი ბედნიერება მოღებული ჩვენზე ზეციერი მამისაგან? ყველაფერი ეს არ უნდა გვიბადავდეს დღესაც, როდესაც ვტირით კეთილი მოყვასის დაკარგვას, როდესაც შევმოსილვართ მწუხარების ძაძით ულრმეს მადლობას ყ-დ მოწყალე, კაცთმოყვარე და სახიერი ღვთისადმი? ღვთის მადლით, ღვთის დახმარებით, ღვთის ნებით ჯ მამობრივი მზრუნველობით შეიძინა მიცვალებულმა ღირსეული სახელი, შექმნა ოჯახი, მოიპოვა ქონება და განა ამის შემდეგ ქვრივსა და ობლებს, მის ნათესავებს და მეგობრებს ეთქმის-ღა რამე სასაყვედურო ღვთისა?

საშინელი გრიგალი და მეხი დაგატყდა თავს, საბრალობელო ქვრივო; დიდად შეგიწუხდნენ და და დაგიწიოკნენ ჯერ ისევ ქორფა, ფრთებ შეუსხმელი შვილები, მაგრამ იცოდე—ეს განსაცდელი მოგვევლინა მისგან, რომელიც ფრინველთათვისაც კი ზრუნავს და არა უბრალო შენთხვევით, არა უბრალო და ბრმა ბედისწერისაგან. ზეციერი მამის წყალობა იყო, რომ დღევანდლამდე ხარობდი და ბედნიერობდი შვილებთან ერთად შენი მეუღლის სიცოცხლით, დღეს ამავე ზეციერმა მამამ მოგაშორა ეს გვირგვინი ოჯახის იმ მიზნით, რომ თითონ გახდეს შენი პატრონი, თითონ იშვილოს შენი ობლები. გწამდეს შეურყეველად, რომ ობოლთა მამა ღმერთია და ეს რწმენა აღგავსებს ღვთისადმი სიყვარულით, გაშორებს სასოწარკვეთილებას, უნუგეშობას და სულით დაჩაგვრას. დღეს მარტო ღმერთი-ღაა ‘ნენ მანუგეშებელი, შენი შემწე და მომხმარე, მიენდე მას მთელი სასოებით და ყოველისავე ეპვს გარეშე შენი გულის იარას დაესხმის ღვინო და ზეთი ღვთის წყალობისა.

გიყვარდეთ, პატარა ობლებო, მამათქვენი? ახლა უფრო მეტთა შეიყვარეთ იგი, უფრო ხშირად მოიგონეთ ხოლმე მისი სახე, უფრო ხშირად, უფრო მხურვალედ და გულსმოდგინედ შეავედრეთ ხოლმე მისი სული უფალსა და ამ გვარი საქციელით აგრძნობინებიებთ მას ღვთის კურთხევის ნეტარებას, რომლის ანარეკლი სხივები მოაღწევენ ამ ქვეყანამდინაც ისე, როგორც სარკეში შეკრებილ სინათლეს მივაშუქებთ ხოლმე კედელზე. თქვენც, ბლოვითა და მწუხარებით აღვსილნო, საყვარელნო მსმენელნო, განაშორეთ თქვენი გულის და გუნებისაგან დრტვინვა და საყვედური ღვთისადმი, ჰსცანთ უსაზღვრო სიყვარული ღვთისა როგორც მიცვალებულზე, ისე თვითეულ თქვენგანზე, ისმინეთ ბძანება ეკკლესიისა მოვედით დასასრულისა ამბორის ყოფა მიეცით მკვდარს და ჰმადლობდეთ ღმერთსა. ამინ!

ეპისკოპოსი დეონიდი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოფიციალური განყოფილება: უმაღლესი მანიფესტი **სალიტერატურო განყოფილება:** ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. —იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 25-28 აგვისტოს 1904 წ. დამწერესი. —ეურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საღვთისმეტყველოებასა და კეთილ-ზნეობაზე: სიტყვა, თქმული დეკ. ლ. ჭიპაშვილის მეუღლის თეოდოსიას დასაფლავებაზე, ყ-დ სამღვდელო ეპის ლეონიდისმიერ.—სიტყვა, თქმული ნ აგვისტოს ხონის წ. გ-ს ტაძარში ვაჭრის რომანოზ ბახტაძის დასაფლავებაზე, ეპ ლეონიდისმიერ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 28 Сентября *1904 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.